შპს ჭავჭავაძის 64ბ

შუალედური ფინანსური ანგარიშგება

2026 წლის 30 ივნისს დასრულებული ექვსი თვისათვის
(არა აუდიტირებული)

სარჩევი

სარჩევი 2

საქმიანობის მიმოხილვა 3
1. კომპანიის შესახებ 4
2. კომპანიის საქმიანობა, მდგომარეობის მიმოხილვა 4
3. სტრატეგია და ამოცანები 5
4. ფინანსური ინფორმაცია 5
5. ზუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები 8

კორპორაციული მართვის ანგარიშგება 13
6 კომპანიის მმართველობითი ორგანო 13
7 პარტნიორთა საერთო კრება 13
8 სამეთვალყურეო საბჭო 14
9 დირექტორთა საბჭო 15
10 დივიდენდების პოლიტიკა 15
11 შიდა აუდიტის სამსახური 15

არა ფინანსური ანგარიშგება 16
12 შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა 16
13 ინტერესთა კონფლიქტი და საჩივრები 18

საქმიანობის მიმოხილვა

პასუხისმგებელი პირების განცხადება

ჩვენ, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მარინე ახვლედიანი და დირექტორი ანა მიქელაძე ვადასტურებთ, რომ:

- მმართველობითი ანგარიშგება და ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მოქმედი რეგულაციებისა და კანონმდებლობის შესაბამისად;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება და წლიური ანგარიში ზუსტად, სრულად და სამართლიანად ასახავს ფინანსურ მდგომარეობას, მოგებასა და ზარალს, შემოსავალსა და ხარჯებს, კომპანიის აქტივებს, ვალდებულებებს და ფულად ნაკადებს;
- მმართველობითი ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის განვითარების, ბიზნეს საქმიანობის შედეგების, ძირითადი რისკების სამართლიან მიმოხილვას;
- მმართველობითი ანგარიშგება და ფინანსური ანგარიშგება არის სამართლიანი, გასაგები და უზრუნველყოფს დაინტერესებულ პირთათვის ინფორმაციის მიწოდებას ბიზნეს საქმიანობის შედეგების, კომპანიის არსებული მდგომარეობის და სამომავლო სტრატეგიების შესაფასებლად

პასუხისმგებლობის ეს განცხადება დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს მიერ:

2026 წლის 14 აგვისტო

მარინე ახვლედიანი

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, დამოუკიდებელი წევრი

ანა მიქელაძე

დირექტორი

საქმიანობის მიმოხილვა

პასუხისმგებელი პირების განცხადება

ჩვენ, სამეთვალყურეო საბჭოს თავმდჯომარე მარინე ახვლედიანი და დირექტორი ანა მიქელაძე ვადასტურებთ, რომ:

- მმართველობითი ანგარიშგება და ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მოქმედი რეგულაციებისა და კანონმდგებლობის შესაბამისად;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება და წლიური ანგარიში ზუსტად, სრულად და სამართლიანად ასახავს ფინანსურ მდგომარეობას, მოგებასა და ზარალს, შემოსავალსა და ხარჯებს, კომპანიის აქტივებს, ვალდებულებებს და ფულად ნაკადებს;
- მმართველობითი ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის განვითარების, ბიზნეს საქმიანობის შედეგების, ძირითადი რისკების სამართლიან მიმოხილვას;
- მმართველობითი ანგარიშგება და ფინანსური ანგარიშგება არის სამართლიანი, გასაგები და უზრუნველყოფს დაინტერესებულ პირთათვის ინფორმაციის მიწოდებას ბიზნეს საქმიანობის შედეგების, კომპანიის არსებული მდგომარეობის და სამომავლო სტრატეგიების შესაფასებლად

პასუხისმგებლობის ეს განცხადება დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს მიერ:

2026 წლის 14 აგვისტო

_____

მარინე ახვლედიანი

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, დამოუკიდებელი წევრი

_____

ანა მიქელაძე

დირექტორი

1. კომპანიის შესახებ

შპს „ჭავჭავაძის 64 ბ“, საიდენტიფიკაციო კოდით: 404890891 (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2011 წლის 14 მარტს. რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო. მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა. იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №71.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი არის საქართველოში რეგისტირებული კომპანია შპს „ბიზნეს ცენტრი ვაჟაზე“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204853088), რომლის პარტნიორებიც არიან: ფ/პ ლაშა პაპაშვილი (პ/ნ 01008006654) – 50% და ფ/პ სულხან პაპაშვილი (პ/ნ 01018001248) – 50%.

კომპანიას არ ჰყავს შვილობილი საწარმო და არ გააჩნია ფილიალი.

2. კომპანიის საქმიანობა, მდგომარეობის მიმოხილვა

კომპანია ფლობს და მართავს ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. №64ა-ში მდებარე, 19 სართულიან, A კლასის ბიზნეს-ცენტრს. შესაბამისად კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საოფისე ფართების გაქირავება.

ბიზნეს-ცენტრი გამოირჩევა თანამედროვე არქიტექტურითა და გამორჩეული ფასადით, იგი აღჭურვილია მაღალი სტანდარტის სახანძრო უსაფრთხოებითა და ენერგო-ეფექტური დანადგარებით. მდებარეობს თბილისის ცენტრში - ვაკეში, გარშემორტყმულია სასტუმროებით, სავაჭრო ცენტრებითა და საკვები დაწესებულებებით. აღსანიშნავია, რომ ბიზნეს-ცენტრს ემიჯნება სასტუმრო Hilton Garden Inn_ი თავისი სერვისებით, რაც ბიზნეს-ცენტრს უფრო მომხიბვლელს ხდის საერთაშორისო კომპანიებისათვის.

ბიზნეს-ცენტრმა ოპერირება დაიწყო 2019 წელს, იგი მოიცავს 13,137 კვ.მ წმინდა გასაქირავებელ ფართს, სადაც ძირითად ნაწილს საოფისე სივრცე წარმოადგენს (ჯამური სივრცის 97.8%), ხოლო კომერციული სივრცის ნაწილში (2.2%) განთავსებულია გალერეა. ბიზნეს-ცენტრის მაღალი სტანდარტებიდან გამომდინარე, მის ძირითად სამომხმარებლო სეგმენტს წარმოადგენს საერთაშორისო კორპორაციები და დიპლომატიური კორპუსები.

აღსანიშნავია, რომ კომპანია იჯარასთან ერთად მომხმარებლებს სთავაზობს შემდეგ სერვისებს:

- ფართების მოვლა-პატრონობა (Maintenance);
- ფართების დალაგება-დასუფთავება;
- 24/7_ზე უსაფრთხოების დაცვა;
- წყლის და ელექტრო ენერგიის 24 საათიან ალტერნატიულ მიწოდებას, საჭიროების შემთხვევაში;
- ოფისის მენეჯერის მომსახურებას;
- ელექტონული ბარათით დაშვებას და მონიტორინგს.

ბიზნეს-ცენტრის ბოლო 3 წლის დატვირთულობის მაჩვენებელი მზარდია, იხ. ცხრილი:

თარიღი	დატვირთულობის მაჩვენებელი
31 დეკემბერი, 2022	62.5%
31 დეკემბერი, 2023	80.9%
31 დეკემბერი, 2024	96.7%
31 დეკემბერი, 2025	97.8%

საიდანაც გაქირავებული საოფისე სივრცეების 76.68%_ს დიპლომატიური კორპუსები წარმოადგენენ, 15.75%_ს კი საერთაშორისო კომპანიების მიერაა დაკავებული, დანარჩენი 7.48% კი ადგილობრივი კომპანიები არიან.

2026 წლის ბოლოსათვის იგეგმება 99% დატვირთულობის მიღწევა, საოპერაციო ხარჯების ნაწილში კი 2024 წელთან შედარიებთი ცვლილებები არ იგეგმება, შესაბამისად იგივე ხარჯვითი ბიუჯეტის შენარჩუნება.

2024 წლის აგვისტოში კომპანიამ მიიღო 20,000,000 (ოც მილიონი) ევროს ექვივალენტი ჯამური ნომინალური ღირებულების პირდაპირი, არასუბორდინირებული ობლიგაციები გამოშვების უფლება, ორი ან რამდენიმე ემისიის სახით. საიდანაც გამოუშვა 3 მილიონი ევროს და 10 მილიონი დოლარის ღირებულების ობლიგაციები, რომლის დაფარვის ვადაა 2026 წლის 22 აგვისტო. კომპანიას ობლიგაციებზე გადასახდელი აქვს ფიქსირებული პროცენტი წლიურად ევროში 7.75% და დოლარში 8.75%. ობლიგაციებზე კუპონი/პროცენტი გადაიხდება ნახევარწლიურად. ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს და კომპანიის ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არა-სუბორდინირებულ ვალდებულებას.

კომპანია 2026 წლის აგვისტოში გეგმავს 24 მილიონი ევროს მოცულობის ახალი ობლიგაციების გამოშვებასა და განთავსებას. როგორც ემისიის შესაბამის პროსპექტში იქნება გაწერილი, მოზიდული სახსრების ერთ-ერთი მიზანი არსებული ობლიგაციებით აღებული ვალდებულებების რეფინანსირება იქნება.

2026 წლის 11 აგვისტოს ეროვნული ბანკმა გამოსცა განკარგულება ობლიგაციების ემისიის წინასწარი პროსპექტის დამტკიცების შესახებ.

3. სტრატეგია და ამოცანები

შპს „ჭავჭავაძის 64ბ-ს“ დაფუძნების მიზანი იყო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პრემიუმ კლასის ბიზნეს ცენტრის შექმნა, რომელიც აწევდა თამასას საქართველოს უძრავი ქონების ბაზარზე. არსებული მოიჯარეების მაღალი რეპუტაციის გათვალისწინებით, კომპანია მიიჩნევს, რომ სწორედ მაღალი ხარისხი და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა გახდა იმის მიზეზი, რომ მათი მოიჯარეები ხანგრძლივი პერიოდით გახდნენ დიპლომატიური კორპუსები და საერთაშორისო ორგანიზაციები.

კომპანიის მიმდინარე მიზანია, შეუქმნას მომხმარებლებს უსაფრთხო და კომფორტული სამუშაო გარემო, მაღალ ნიშნულზე შეინარჩუნოს არსებული დატვირთულობის კოეფიციენტი, გრძელვადიანი კონტრაქტების ხარჯზე.

4. ფინანსური ინფორმაცია

2025 წლის ფინანსური ანგარიშგება აუდირებულია Baker Tilly საქართველოს მიერ.

მომდევნო ინფორმაცია ეფუძნება აუდიტორულად შემოწმებულ რიცხვებს, დამატებითი დეტალებისთვის, მათ შორის ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისათვის იხილეთ კომპანიის აუდირებული ფინანსური ანგარიშგება.

4.1 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

'000 ლარი	30.06.2026 *(არა აუდიტირებული)*	31.12.2025	30.06.2025 *(არა აუდიტირებული)*	31.12.2024
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
საინვესტიციო ქონება	89,676	91,364	88,789	91 502
ძირითადი საშუალებები	125	155	142	166
აქტივის გამოყენების უფლება	231	256	282	308
სულ გრძელვადიანი აქტივები	**90,032**	**91,775**	**89,213**	**91,976**
მოკლევადიანი აქტივები				
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	107	107	113	113
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	961	491	962	724
გაცემული მოკლევადიანი სესხები	1,391	1,987	-	463
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9,950	8,343	5,233	3.139
სულ მოკლევადიანი აქტივები	**12,409**	**10,928**	**6,308**	**4,439**
სულ აქტივები	**102,441**	**102,703**	**95,521**	**96,415**
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	40,766	38,654	38,654	38,654
დაუფარავი მოგება/(ზარალი)	(473)	(3,983)	(9,967)	(8,715)
სულ საკუთარი კაპიტალი	**40,293**	**34,671**	**28,687**	**29,939**
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	21,712	24,968	61,879	59,906
საიჯარო ვალდებულებები	246	273	308	302
მოიჯარეებიდან მიღებული ავანსები	1,264	1,467	1,331	1,331
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**23,222**	**26,708**	**63,518**	**51,539**
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,371	3,686	2,015	3,624
სესხები	36,515	37,584	1,064	1,076
საიჯარო ვალდებულებები	40	54	46	46
ანარიცხი	-	-	191	191
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	**38,926**	**41,324**	**3,316**	**4,937**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	**102,441**	**102,703**	**95,521**	**96,415**

ანა მიქელაძე, დირექტორი

მარინე ახვლედიანი, სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე, დამუკიდებელი წევრი

4.1 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

'000 ლარი	30.06.2026 *(არა აუდიტირებული)*	31.12.2025	30.06.2025 *(არა აუდიტირებული)*	31.12.2024
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
საინვესტიციო ქონება	89,676	91,364	88,789	91,502
ძირითადი საშუალებები	125	155	142	166
აქტივის გამოყენების უფლება	231	256	282	308
სულ გრძელვადიანი აქტივები	**90,032**	**91,775**	**89,213**	**91,976**
მოკლევადიანი აქტივები				
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	107	107	113	113
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	961	491	962	724
გაცემული მოკლევადიანი სესხები	1,391	1,987	-	463
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9,950	8,343	5,233	3,139
სულ მოკლევადიანი აქტივები	**12,409**	**10,928**	**6,308**	**4,439**
სულ აქტივები	**102,441**	**102,703**	**95,521**	**96,415**
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	40,766	38,654	38,654	38,654
დაუფარავი მოგება/(ზარალი)	(473)	(3,983)	(9,967)	(8,715)
სულ საკუთარი კაპიტალი	**40,293**	**34,671**	**28,687**	**29,939**
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	21,712	24,968	61,879	59,906
საიჯარო ვალდებულებები	246	273	308	302
მოიჯარეებიდან მიღებული ავანსები	1,264	1,467	1,331	1,331
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**23,222**	**26,708**	**63,518**	**61,539**
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,371	3,686	2,015	3,624
სესხები	36,515	37,584	1,064	1,076
საიჯარო ვალდებულებები	40	54	46	46
ანარიცხი	-	-	191	191
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	**38,926**	**41,324**	**3,316**	**4,937**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	**102,441**	**102,703**	**95,521**	**96,415**

_____

ანა მიქელაძე, დირექტორი

_____

მარინე ახვლედიანი, სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე, დამუკიდებელი წევრი

4.2 სრული შემოსავლის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

'000 ლარი	2026 H1 *(არა აუდიტირებული)*	2025 H1 *(არა აუდიტირებული)*
შემოსავლები		
საიჯარო შემოსავალი	6,176	5,976
სხვა შემოსავალი (ნეტო)	10	3
წმინდა შემოსავლები	6,186	5,979
ხარჯები		
საგადასახადო ხარჯი	(306)	(300)
ხელფასის ხარჯი	(258)	(238)
ცვეთა და ამორტიზაცია	(60)	(64)
კომუნალური ხარჯი	(36)	(8)
რემონტისა და შენახვის ხარჯი	(90)	(72)
დაზღვევის ხარჯი	(19)	(21)
სხვა ხარჯები	(97)	(112)
საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილება	(1,688)	(3,087)
წმინდა მოგება/(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან	1,928	(1,954)
სხვა მოგება/(ზარალი) ნეტო	14	1,030
საპროცენტო ხარჯები (ნეტო)	(2,064)	(2,405)
მიმდინარე წლის მოგება	**3,510**	**(1,252)**
სხვა სრული შემოსავლი	-	-
წლის სრული შემოსავლი	**3,510**	**(1,252)**

4.3 საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

'000 ლარი	საწესდებო კაპიტალი	დაუფარავი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**38,654**	**(8,715)**	**29,939**
წლის სრული შემოსავალი	-	(1,252)	**(1,252)**
კონტრიბუცია საწესდებო კაპიტალში	-	-	-
კაპიტალის შემცირება	-	-	-
ნაშთი 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით	**38,654**	**(9,967)**	**28,687**
ნაშთი 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**38,654**	**(3,983)**	**34,671**
წლის სრული შემოსავალი	-	3,510	**3,510**
კონტრიბუცია საწესდებო კაპიტალში	2,112	-	2,112
კაპიტალის შემცირება	-	-	-
ნაშთი 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით	**40,766**	**(473)**	**40,293**

4.4 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

'000 ლარი	2026 H1 (არა აუდიტირებული)	2025 H1 (არა აუდიტირებული)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	5,046	6,208
მომწოდებლებისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები,	(1,686)	(1,595)
მათ შორის, გადახდილი გადასახადები		
ოპერირებიდან დაგენერირებული ფულადი სახსრები ნეტო	**3,360**	**4,613**
გადახდილი პროცენტი	(2,415)	(2,524)
მიღებული პროცენტი	329	146
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	**1,274**	**2,235**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
გაცემული სესხები	-	-
სესხის გაცემა/დაბრუნება	460	454
ძირითადი საშუალებების შეძენა/საინვესტიციო ქონების გაუმჯობესება	(6)	(597)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	**454**	**(143)**
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხებიდან მიღებული თანხები	-	-
სესხების დაფარვა	(2,100)	-
კაპიტალის ზრდა/(შემცირება)	2,112	-
საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	**12**	**-**
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნეტო (შემცირება)/ზრდა	**1,740**	**2,092**
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	8,343	3,139
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი	(133)	2
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს	**9,950**	**5,233**

5. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

5.1 უცხოური ვალუტა

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის/პერიოდის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, რომელიც აღიარდება მოგებაში, ან ზარალში როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ხარჯი. უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებული არაფულადი მუხლები, მათ შორის წილობრივი ინსტრუმენტი, გადაიანგარიშება იმ გაცვლითი კურსების მიხედვით, რომელიც არსებობდა მათი რეალური ღირებულებით შეფასების დროს. უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე გაცვლითი კურსის ცვლილებების ზეგავლენა აისახება როგორც რეალური ღირებულების შედეგად მიღებული შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

	დოლარი	ევრო
2026 წლის 30 ივნისისათვის	2.6453	3.0156
2025 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6951	3.1737
2025 წლის 30 ივნისისათვის	2.7236	3.1882
2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306

5.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად, მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განვითებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილ მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური ან კომერციული მოძველება

5.3 საინვესტიციო ქონება

კომპანია საინვესტიციო ქონების ღირებულების დადგენისათვის იყენებს რეალური ღირებულების მოდელს. საინვესტიციო ქონება შეფასებულია რეალური ღირებულებით ყოველი წლის ბოლოს მდგომარეობით, რომელიც განისაზღვრა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ. საინვესტიციო ქონება გაცემულია საოპერაციო იჯარით სხვა კომპანიებზე ან წარმოადგენს ვაკანტურს.

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილებით გამოწვეული მოგება ან ზარალი ჩაირთულია იმ პერიოდის მოგება/ზარალში, როდესაც ეს ცვლილება მოხდა. რეალური ღირებულებით შეფასებულ საინვესტიციო ქონებას ცვეთა არ ერიცხება.

მიმდინარე პერიოდში საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილება _ ზარალი, გამოწვეულია ანგარიშგების თარიღისათვის ვალუტის კურსის, აშშ დოლარის შემცირებით.

5.4 აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

იჯარით აღებული აქტივი მოიცავს 23 ცალ ავტოსადგომს საერთო ფართით 287.5 კვ.მ, რომელიც მდებარეობს ქ.თბილსი, ჭავჭავაძის გამზირი N 64ა _ში. იჯარის უფლება: 4 - 11 წლამდე.

იჯარის ხელშეკრულებები არ გულისხმობს რაიმე სახის პირობებს (კოვენანტებს) საკუთრების უფლებების დაცვის გარდა საიჯარო აქტივებში, რომელსაც ფლობს მეიჯარე. საიჯარო აქტივები არ შეიძლება, გამოყენებული იქნას უზრუნველყოფად სესხებზე.

5.5 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და მის სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

5.6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

5.7 გადახდილი ავანსები

როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილ ავანსთან დაკავშირებული პროდუქციის, ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარების დროს გრძელვადიან აქტივად არის კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება მოცემული აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მოცემულ აქტივთან დაკავშირებული მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსების ჩამოწერა ხდება მოგებაში, ან ზარალი, როდესაც კომპანია მიიღებს გადახდილ ავანსთან დაკავშირებულ პროდუქციას, ან მომსახურებას. იმ შემთხვევაი, თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ გადახდილ

ავანსთან დაკავშირებული აქტივები, პროდუქცია, ან მომსახურება არ იქნება მოწოდებული, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში.

5.8 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნათშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

5.9 საწესდებო კაპიტალი

2023 წლის 31 დეკემბერს კომპანიის კაპიტალი კლასიფიცირებული იყო როგორც „საწესდებო კაპიტალი", რომელიც მეწარმეთა შესახებ კანონის მიხედვით წარმოადგენდა „განთავსებული კაპიტალის" იდენტურ ცნებას. შემდგომში, პროსპექტის (2024 წლის 01 აგვისტო) შედგენის თარიღისათვის კომპანიაში განხორციელებული კაპიტალ-შენატანები კვალიფიცირებულ იქნა დამატებით შენატანად, ხოლო 2024 წლის 25 დეკემბერს კომპანიამ პარტნიორთა გადაწყვეტილებით შეცვალა განხორციელებული კაპიტალ-შენატანების კვალიფიკაცია და დაადასტურა, რომ აღნიშნული სახსრები წარმოადგენდა განთავსებულ კაპიტალს.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საზოგადოების განთავსებული კაპიტალი შეადგენს 38,653,921 ლარს. კომპანიის კაპიტალი დაყოფილია 100 წილად, 1 წილის ნომინალური ღირებულება განსაზღვრულია 386,539 ლარით, რაც დადასტურებულია შესაბამისი პარტნიორთა კრების ოქმებით. ამასთან, განთავსებული კაპიტალი 38,653,921 ლარი სრულად განაღდებულია ე.ი შევსებულია სრულად.
ამასთან, კომპანიას არ მიუღია გადაწყვეტილება განთავსებული კაპიტალის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის თაობაზე, რადგან კომპანიისა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილობითი განმარტებით „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით, მათ შორის მე-13 მუხლით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისათვის განთავსებული კაპიტალი არ წარმოადგენდა სავალდებულო სარეგისტრაციო მონაცემს, განსხვავებით სააქციო საზოგადოებისგან.
განთავსებულ კაპიტალთან დაკავშირებით კომპანია მოქმედებს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 28-ე მუხლისა და 134-ე მუხლის შესაბამისად. ამავდროულად, კომპანიას შემუშავებული აქვს შიდა პოლიტიკა „შპს „ჭავჭავაძის 64ბ_ს მოგების განაწილების შესახებ", რომელიც ასევე მოიწონა კომპანიის პარტნიორმა. მითითებული შიდა პოლიტიკის შესაბამისად, დადგენილია, რომ მოგების განაწილება იკრძალება, თუ ა) კომპანიას წინა წლებში აკუმულირებული აქვს მნიშვნელოვანი ზარალი. ბ) განაწილება დაარღვევს საქართველოს კანონმდებლობითა ან/და კომპანიის წესდებით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნებს, რაც მათ შორის გულისხმობს „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 145-ე მუხლის დანაწესს. 2026 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის პერიოდში კომპანიას მოგება არ გაუნაწილებია, არ გაუცია დივიდენდი.

5.10 ფინანსური ინსტრუმენტები

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა (საბანკო ანგარიშები, მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებების (მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანება) საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური, მოთხოვნამდე ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები. სავარაუდო სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია (მესამე დონის ამოსავალი მონაცემები ფასს 13 - რეალური ღირებულების შეფასება). ფინანსური დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა: ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები); სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით; რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე; რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით. კომპანიის ყველა ფინანსურ აქტივი გაერთიანებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსური აქტივებში.

5.11 ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

5.12 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაქტის ხელმომწერი მეორე მხარე შეასრულებს თავის საკონტრაქტო ვალდებულებებს. მათი ასახვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

5.13 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

5.14 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

5.15 ამონაგები

კომპანია აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებლებთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- ამონაგების აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე "კონტროლი" მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების აღიარების დროულობა

კომპანიის შემოსავლების ძირითადი წყაროა საინვესტიციო ქონების საოპერაციო იჯარით გაცემიდან მიღებული საიჯარო შემოსავალი და მოიჯარეებისთვის გაწეული დამატებითი მომსახურებებიდან მიღებული შემოსავალი.

საიჯარო შემოსავალი აღიარდება იჯარის პერიოდის განმავლობაში წრფივი მეთოდით, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

დამატებითი მომსახურებებიდან მიღებული ამონაგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მომხმარებელს მიეწოდება.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის ამონაგების ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები ამონაგების განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

კომპანიის კონტრაქტები არის ფიქსირებულფასიანი, შესასრულებელი ვალდებულებაც კონტრაქტის მიხედვით არის საკონსულტაციო მომსახურების გაწევა და სახელის უფლებით სარგებლობა, რომელსაც აქვს ყოველთვიური ხასიათი. ყოველი თვის ბოლოს ხელშეკრულების თანხით კომპანია აღიარებს ამონაგებს.

5.16 ხარჯები

ხარჯები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

5.17 იჯარა

გადაცემულ საიჯარო აქტივებთან დაკავშირებით კომპანიას არ აქვს გადაცემული საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, შესაბამისად გაცემული იჯარები განიხილება, როგორც საოპერაციო. კომპანია საოპერაციო იჯარიდან მიღებულ შემოსავალს აღიარებს, წრფივი მეთოდით, საიჯარო გადახდების შესაბამისად.

5.18 სესხები

2024 წლის აგვისტოში კომპანიამ მიიღო 20,000,000 (ოც მილიონი) ევროს ექვივალენტი ჯამური ნომინალური ღირებულების პირდაპირი, არასუბორდინირებული ობლიგაციები გამოშვების უფლება, ორი ან რამდენიმე ემისიის სახით. ამ უფლების ფარგლებში 2024 წლის 21 აგვისტოს კომპანიამ გამოუშვა 3 მილიონი ევროს და 10 მილიონი დოლარის ღირებულების ობლიგაციები, რომლის დაფარვის ვადაა 2026 წლის 22 აგვისტო. კომპანიას ობლიგაციებზე გადასახდელი აქვს ფიქსირებული პროცენტი წლიურად ევროში 7.75% და დოლარში 8.75%. ობლიგაციებზე კუპონი/პროცენტი გადაიხდება ნახევარწლიურად. ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს და კომპანიის ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არა-სუბორდინირებულ ვალდებულებას.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო სესხები არის 8-9 წლამდე ვადიანობის. კომპანიის ყველა სესხი აღებულია ბანკებისაგან (სს „თიბისი ბანკი" ს/კ 204854595 და სს „პაშა ბანკი საქართველო" ს/კ 404433671) ევროში.

ბანკებისაგან აღებულ ევროში დენომინირებულ სესხებს აქვთ მცოცავი განაკვეთი, რომელიც მიბმულია Euribor-ზე შემდეგი დიაპაზონით 7.1% - 9.3%.

სესხები და ობლიგაცია ითვალისწინებს გარკვეულ შემზღუდველ პირობებს. მოცემული გულისხმობს გარკვეული ფინანსურ და არაფინანსურ ვალდებულებების დაკმაყოფილებას, მათ შორის დივიდენდების და სესხის გაცემასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ობლიგაციების მფლობელს/გამსესხებელს წარმოექმნება უფლება და არა ვალდებულება მოითხოვოს შესაბამისი სესხის სრული ან ნაწილობრივი დაფარვა ვადაზე ადრე. ფინანსური შეზღუდვების დარღვევის შემთხვევაში ობლიგაციების და სესხების ხელშეკრულება მოიცავს შეზღუდვებს დივიდენდების გადახდასთან დაკავშირებით

სესხების ხელშეკრულების პირობების მიხედვით, ბანკებმა დაუწესა კომპნიას ფინანსური და არაფინანსური შეზღუდვები. ამ შეზღუდვების ნაწილი ეხება გარკვეულ ფინანსური კოეფიციენტებთან შესაბამისობას. სესხის ვადის ამოწურვამდე კომპანია ვალდებულია, შეინარჩუნოს შემდეგი ფინანსური მაჩვენებელი, DSCR (სესხის მომსახურების კოეფიციენტი) შენარჩუნებულ უნდა იქნეს მინიმუმ, 1.2 დონეზე, ჯამურმა სასესხო ვალდებულებებმა უნდა შადგინოს საოპერაციო მოგების DEBT/EBITDA (ფინანსური ვალდებულებების თანაფარდობა მოგბასთან დაბეგვრამდე, ცვეთამდე, და პროცენტამდე) ტოლი ან 6.5-ზე ნაკლები. ფინანსური შეზღუდვების დარღვევის შემთხვევაში, ბანკებს, სხვა დანარჩენთან ერთად, უფლება აქვთ, განახორციელონ გარკვეული ქმედებები, მათ შორის: კლიენტისთვის შეტყობინებით ცალმხრივად გაზარდონ საპროცენტო სარგებლის განაკვეთი მაქსიმუმ 2%-ით. თუ დარღვეული პირობები არ შესრულდება 30 კალენდარული დღის განმავლობაში ან დარღვევა მეორდება სისტემატურად, ბანკები იტოვებენ უფლებას, შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება წერილობითი შეტყობინების მიწოდების გზით და უკან გამოითხოვონ სესხის თანხა ან მისი ნებისმიერი ნაწილი; მოითხოვონ ბანკების მიერ განსაზღვრული ოდენობის თანხის დეპონირება მათ მიერ მითითებულ ანგარიშზე კლიენტის ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად; გამოიყენონ (განახორციელონ) ძირითადი ხელშეკრულებ(ებ)ით ან/და დამატებითი, ან/და ბანკებთან დადებული ნებისმიერი ხელშეკრულებით/შეთანხმებით ბანკებისთვის მინიჭებული სხვა უფლებები. კომპანია შესაბამისობაშია საბანკო სესხებით დაწესებულ შეზღუდვის პირობებთან.

ობლიგაციების პირობების მიხედვით კომპანიას არ აქვს უფლება განახორციელოს გარკვეული ქმედებები მათ შორის: აიღოს ახალი ფინანსური ვალდებულება, გასცეს დივიდენდები, გაიტანოს კაპიტალი და ა. შ. ვიდრე არ დააკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ კოეფიეციეტებს: სასესხო ვალდებულების მომსახურების კოეფიციენტი, რომელიც მეტი ან ტოლი უნდა იყოს 1.2 ერთეულზე, სასესხო ვალდებულების საოპერაციო მოგებასთან შეფარდების კოეფიციენტი, რომელიც ნაკლები ან ტოლი უნდა იყოს 6.5 ერთეულზე ან/და ჯამური სესხებისა და საინვესტიციო

ქონების ღირებულება რომელიც ნაკლები ან ტოლი უნდა იყოს 0.7-ზე. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს დაცული ზემოთ მოყვანილი ყველა კოეფიციენტი.

კომპანია 2026 წლის აგვისტოში გეგმავს 24 მილიონი ევროს მოცულობის ახალი ობლიგაციების გამოშვებასა და განთავსებას. როგორც ემისიის შესაბამის პროსპექტში იქნება გაწერილი, მოზიდული სახსრების ერთ-ერთი მიზანი არსებული ობლიგაციებით აღებული ვალდებულებების რეფინანსირება იქნება.

ინფორმაციისთვის, 2026 წლის 11 აგვისტოს ეროვნული ბანკმა გამოსცა განკარგულება ობლიგაციების ემისიის წინასწარი პროსპექტის დამტკიცების შესახებ.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

6 კომპანიის მმართველობითი ორგანო

2021 წლის 7 დეკემბერს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №172/04 ბრძანებით დამტკიცდა საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის კორპორაციული მართვის კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 2022 წლის პირველი იანვრიდან.
საკანონმდებლო მოთხოვნების საფუძველზე კომპანიაში მოქმედებს კორპორატიული მართვის კოდექსი, რომელიც საზოგადოების წესდების ფარგლებში მოიცავს კორპორატიული მართვის, გადაწყვეტილებების მიღების წესებს და აგრეთვე უმაღლესი მმართველი ორგანოს, სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირისთვის დადგენილ უფლება-მოვალეობებს;
საწარმოს კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭო. დირექტორი ვალდებულია უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული კორპორაციული მართვის სხვადასხვა პოლიტიკის ეფექტიანი შესრულება. კორპორაციული ეთიკის კოდექსი არ არის გასაჯაროებული კომპანიის მიერ.

კომპანიაში დამკვიდრებულია კორპორაციული მართვის სამ დონიანი სისტემა. კერძოდ, მართვის უმაღლესი ორგანოა კომპანიის პარტნიორთა საერთო კრება, კომპანიის ყოველდღიურ მენეჯმენტს ახორციელებს კომპანიის დირექტორთა საბჭო, რომელიც თავის მხრივ ანგარიშვალდებულია და ექვემდებარება სამეთვალყურეო საბჭოს. ამასთან, კომპანიის წესდებაში მკაცრადაა გამიჯნული კორპორატიული მართვის სამივე რგოლის უფლებამოსილებები.

- **პარტნიორთა საერთო კრება** - გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ პრინციპულ საკითხებზე, როგორიცაა კომპანიის წესდების შეცვლა, დივიდენდების განაწილება, გადაწყვეტილების მიღება კომპანიის რეორგანიზაციის თაობაზე და ა.შ.;
- **სამეთვალყურეო საბჭო** - გაცილებით მჭიდროდ ზედამხედველობს მენეჯმენტის საქმიანობას და მთელი რიგი ტრანზაქციები / ქმედებები / გარიგებები საჭიროებს მის თანხმობას, მაგალითად, როგორიცაა სხვა საწარმოში წილის შეძენა და გასხვისება, საზოგადოების მიერ სესხის აღებასთან და უზრუნველყოფასთან დაკავშირებული გარიგებების ერთობლიობის დამტკიცება, დირექტორის უფლებამოსილების ფარგლების დადგენა და ა.შ. გარდა ამისა, კომპანიაში მოქმედებს სამეთვალყურეო საბჭოს ქვე-კომიტეტი - აუდიტის კომიტეტი.
- **დირექტორთა საბჭო** - წარმოადგენს კომპანიის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს. ეკისრება ყოველდღიური საქმიანობის მართვა;

კომპანიის პარტნიორთა კრება, სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორატი და კომპანიაში არსებული სხვა საბჭო/კომიტეტები, განსაზღვრავს, აკონტროლებს და ინარჩუნებს პარამეტრებსა და სტანდარტებს, რომლის მიხედვითაც უნდა იმოქმედოს კომპანიამ.

7 პარტნიორთა საერთო კრება

საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა საერთო კრება. პარტნიორთა საერთო კრების მოწვევა ხდება სულ მცირე წელიწადში ერთხელ, წლიური აუდიტის დასკვნის წარმოდგენიდან 1 (ერთი) თვის ვადაში. პარტნიორთა საერთო კრების მოწვევა განხორციელდება დირექტორის მიერ საერთო კრების მიწვევის შესახებ შეტყობინების გამოქვეყნებიდან სულ ცოტა 5 (ხუთი) კალენდარული დღის შემდეგ. მორიგ კრებაზე განიხილება წლიური შედეგები და დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვა შესაძლო საკითხები.

საერთო კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, როდესაც ყველა პარტნიორი წერილობით ეთანხმება განსახილველ საკითხს. წერილობითი თანხმობა კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება საერთო კრების გადაწყვეტილებად.

საერთო კრება მიიჩნევა გადაწყვეტილებისუნარიანად, თუ მის მუშაობაში მონაწილეობას იღებს ყველა პარტნიორი, ხოლო პარტნიორთა საერთო კრებაზე გადაწყვეტილება მიიღება კრებაზე დამსწრე პარტნიორების ხმათა უმრავლესობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონით ან წესდებით განსაზღვრულია ხმათა უფრო დიდი რაოდენობა, ან სხვა დამატებითი პირობები.

კომპანიის 100% წილის მესაკუთრე და, შესაბამისად, ერთადერთი პარტნიორია შპს „ბიზნეს ცენტრი ვაჟაზე“ (ს/ნ 204853088).

მეწარმეთა შესახებ კანონისა და წესდების თანახმად, პარტნიორები უფლებამოსილი არიან, მიიღონ გადაწყვეტილებები სხვა საკითხებთან ერთად, პარტნიორთა კრებაზე შემდეგ საკითხებზე:

- კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა და ბიზნესის მნიშნელოვანი ცვლილება;
- კომპანიის საწესდებო კაპიტალის ცვლილება;
- წესდებაში / პარტნიორთა შეთანხმებაში ცვლილებების შეტანა;
- ფინანსური ანგარიშების დამტკიცება;
- დივიდენდების განაწილება;
- აუდიტის არჩევა;
- ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- კომპანიის მიერ იმ ქონების შეძენა, გასხვისება, გაცვლა, რომლის ღირებულება 100,000 აშშ დოლარს აღემატება;
- ნებისმიერ სხვა კომპანიაში აქციების შეძენა;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დანიშვნა და გათავისუფლება;
- კომპანიის მიერ ნებისმიერი ოდენობის სესხის გაცემა;
- კომპანიის ბიზნესის ან/და კომპანიის კუთვნილი აქტივების სრულად ან ნაწილობრივ გასხვისება;
- მეწარმეთა შესახებ კანონისა და წესდებით გათვალისწინებული სხვა საკითხები.

8 სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო შედგება 5 (ხუთი) წევრისაგან, რომელთაგან თითოეულს ირჩევენ საერთო კრებაზე პარტნიორები 3 (სამი) წლის ვადით (მათი უფლებამოსილება გრძელდება ვადის გასვლის შემდეგაც, მორიგ პარტნიორთა საერთო კრებამდე). მორიგი საერთო კრების მოწვევამდე მათი განმეორებითი მოწვევა შეუზღუდავია.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა ტარდება სულ მცირე წელიწადში ერთხელ. საბჭოს იწვევს და დღის წესრიგს განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (მისი არ ყოფნის შემთხვევაში - მოადგილე). გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა მოწვეულ იქნას სამეთვალყურეო საბჭოს რიგგარეშე სხდომა.

სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია იმ შემთხვევაში, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარი. სამეთვალყურეო საბჭო მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს კრებაზე დამსწრე წევრების უბრალო უმრავლესობით - სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს გააჩნია თითო ხმა.

სამეთვალყურეო საბჭოს კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, როცა ყველა წევრი წერილობით დაეთანხმება განსახილველ საკითხს. წერილობითი თანხმობა სამეთვალყურეო საბჭოს კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებად.

სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციები და უფლება-მოვალეობები სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავს შემდეგს:

- დირექტორთა საბჭოს წევრების დანიშვნა და გათავისუფლება;
- დირექტორთა საბჭოს წევრების რაოდენობის ცვლილება;
- დირექტორთა საბჭოს თავმდჯომარის არჩევა;
- ნებისმიერ ისეთ გარიგებაზე თანხმობა, რომელიც სცდება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს;
- წლიური ბიუჯეტისა და ბიზნეს გეგმის დამტკიცება ან/და ცვლილება;
- ყოველთვიური საოპერაციო და ფინანსური ანგარიშგების ფორმის დამტკიცება;
- წესდებით გათვალისწინებული სხვა საკითხები.

კომპანია ასევე შესაბამისობაშია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 214-ე მუხლი 1-ელი პუნქტის მოთხოვნასთან, რომლის მიხედვითაც „სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იმავდროულად არ შეიძლება იყოს სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს წევრი“.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები:

სახელი	პოზიცია	დანიშვნის თარიღი	უფლებამოსილების ამოწურვის ვადა
მარინე ახვლედიანი	თავმდჯომარე, დამოუკიდებელი წევრი	აპრილი, 2024	აპრილი, 2027
ქეთევან ამანათაშვილი	თავმჯდომარის მოადგილე,	აპრილი, 2024	აპრილი, 2027

	დამოუკიდებელი წევრი		
ანა კაპანაძე	წევრი	აპრილი, 2024	აპრილი, 2027
სოფიო ტიკარაძე	წევრი	აპრილი, 2024	აპრილი, 2027
გიორგი მაისურაძე	წევრი	აპრილი, 2024	აპრილი, 2027

კომპანიამ შექმნა აუდიტის კომიტეტი და კომიტეტი შედგება 3 წევრისგან:

სახელი	პოზიცია	დანიშვნის თარიღი	უფლებამოსილების ამოწურვის ვადა
ქეთევან ამანათაშვილი	თავმჯდომარე, დამოუკიდებელი წევრი	აპრილი, 2024	აპრილი, 2027
ანა კაპანაძე	წევრი	აპრილი, 2024	აპრილი, 2027
სოფო ტიკარაძე	წევრი	აპრილი, 2024	აპრილი, 2027

აუდიტის კომიტეტის ფუნქცია-მოველეობები, მათ შორის, მოიცავს:

- შიდა აუდიტისა და ფინანსური ანგარიშგების პოლიტიკის განსაზღვრა;
- საწარმოს შიდა და გარე აუდიტორებთან თანამშრომლობა და მონიტორინგის გაწევა;
- ფინანსური და არაფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესების მონიტორინგი;
- გარე აუდიტორის ეფექტიანობის შეფასება;
- შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობა და დამოუკიდებლობა;
- შიდა აუდიტის ანგარიშგებების მიღება და იმის უზრუნველყოფა, რომ კომპანიის დირექტორთა საბჭოს მჭირდან გატარდეს სათანადო ღონისძიებები აუდიტის პროცესში და სხვა.

9 დირექტორთა საბჭო

დირექტორთა საბჭო წარმოადგენს საზოგადოების აღმასრულებელ ორგანოს, რომელიც წარმართავს საზოგადოების მიმდინარე საქმიანობას და ახორციელებს წარმომადგენლობას მესამე პირებთან მიმართებაში. დირექტორთა საბჭოს წევრებს ხმათა უბრალო უმრავლესობით ირჩევს სამეთვალყურეო საბჭო.

დირექტორთა საბჭო ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:

- სამეთვალყურეო საბჭოს ან/და პარტნიორთა საერთო კრების მიერ განსაზღვრული შიდა პოლიტიკისა და ბიზნეს გეგმის შესაბამისად, კომპანიის მიმდინარეო საქმიანობის წარმართვა და განხორციელება;
- გადაწყვეტილებების მიღება თანამშრომლების დანიშვნის, გათავისუფლებისა და ანაზღაურების თაობაზე;
- ყოველი წლის 15 ნოემბრამდე, სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარსადგენი ბიუჯეტისა და მომდევნო ორი წლის ფინანსური გეგმის მომზადება;
- სამეთვალყურეო საბჭოს ან/და პარტნიორთა საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება;
- სამეთვალყურეო საბჭოთვის ან/და პარტნიორთა საერთო კრებისთვის ინფორმაციის მიწოდება „კომპანიის“ განვითარების თაობაზე და სხვა.

დირექტორთა საბჭოს ერთადერთ წევრს წარმოადგენს „კომპანიის“ დირექტორი - ანა მიქელაძე. დირექტორი არჩეულია განუსაზღვრელი ვადით - მანამ, სანამ სამეთვალყურეო საბჭო არ აირჩევს სხვა წევრს მისი მოვალეობის შესასრულებლად.

10 დივიდენდების პოლიტიკა

კომპანიას შემუშავებული აქვს შიდა პოლიტიკა „შპს „ჭავჭავაძის 64ბ_ს მოგების განაწილების შესახებ“, რომელიც ასევე მოიწონა კომპანიის პარტნიორმა. მითითებული შიდა პოლიტიკის შესაბამისად, დადგენილია, რომ მოგების განაწილება იკრძალება, თუ ა) კომპანიას წინა წლებში აკუმულირებული აქვს მნიშვნელოვანი ზარალი. ბ) განაწილება დააზიანებს კომპანიის გადახდისუნარიანობას გ) განაწილება დაარღვევს საქართველოს კანონმდებლობითა ან/და კომპანიის წესდებით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნებს, რაც მათ შორის გულისხმობს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 145-ე მუხლის დანაწესს. 2026 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის პერიოდში კომპანიას მოგება არ გაუნაწილებია, არ გაუცია დივიდენდი.

11 შიდა აუდიტის სამსახური

2024 წელს კომპანია გახდა საზოგადოებრივი დაინტერესებული პირი და შიდა აუდიტის სამსახურის შესახებ დებულებები გაწერილია კორპორატიული მართვის ეთიკის კოდექსში, თუმცა შიდა აუდიტის სამსახური ფორმირების პროცესშია.

<u>არა ფინანსური ანგარიშგება</u>

12 შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

კომპანიის მენეჯმენტს გაცნობიერებული აქვს მაღალი პასუხისმგებლობა იზრუნოს დასაქმებულების შრომის უსაფრთხოებაზე. მენეჯმენტი მიისწრაფვის მიმდინარე სამუშაო და სასწავლო პროცესებისა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს გაუმჯობესებისკენ.

შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ყველა შესაძლო საწარმოო ტრავმები და უზრუნველყოს პროექტში ჩართული ყველა პირისათვის უსაფრთხო და უვნებელი სამუშაო გარემოს შექმნა. კომპანია აცნობიერებს, რომ ტრავმის, დასახიჩრების ან სხვა დაზიანების გამომწვევი საწარმოო ინციდენტები თავიდან უნდა იქნეს აცილებული. შესაბამისად, სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად კომპანია ადგენს მკაფიოდ განსაზღვრულ წესებს.

კომპანიის მენეჯმენტი ადასტურებს თავის ვალდებულებას დაიცვას, როგორც „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები, ასევე, უსაფრთხოების აღიარებული მოთხოვნები.

შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვა

კომპანიამ შრომის უსაფრთხოების სისტემა დანერგა შემდეგი მიზეზების გამო:

- **მორალური** - როდესაც შრომის უსაფრთხოების არასათანადო სამუშაო გარემოს გამო მომხდარი უბედური შემთხვევები, ტრავმები თუ პროფესიული დაავადებები დიდ გავლენას ახდენს არა მარტო დაზარალებულებზე, არამედ მათ ოჯახის წევრებზე, მეგობრებსა და კოლეგებზე, მსგავსი ფაქტები მორალურად მიუღებელია.
- **სამართლებრივი** - შრომის უსაფრთხოების მიმართულებით ქვეყანაში არსებული კანონმდებლობა წარმოადგენს სავალდებულო ნორმებს და ჩვენი კომპანია მუდმივად მზადაა შეასრულოს დაკისრებული ვალდებულებები.
- **ფინანსური** - შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის სისტემა კომპანიას შეუმსუბუქებს და თავიდან აარიდებს უბედურ შემთხვევებთან და პროფესიულ დაავადებებთან დაკავშირებულ ხარჯებს. შრომის უსაფრთხოების წესების დაუცველობამ შეიძლება გამოიწვიოს ჩვენს პარტნიორებთან საქმიანი რეპუტაციის შელახვა და ზიანი მიადგეს კომპანიის საქმიანობას.

შესაბამისად, აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, კორპორატიული პასუხისმგებლობის პრინციპზე დაყრდნობით, შევქმენით წინამდებარე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი.

წინამდებარე დოკუმენტი სავალდებულო ხასიათისაა და მისი დებულებების ზედმიწევნით დაცვა სავალდებულოა ყველა დასაქმებულისთვის, ასევე, მშენებლობის ტერიტორიაზე მყოფი კონტრაქტორისა და ვიზიტორისთვის.

კომპანია იღებს პასუხისმგებლობას აწარმოოს შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვა. შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სიტემის მთავარ ელემენტებად განვიხილავთ პოლიტიკას, ორგანიზებას, დაგეგმვას, დანერგვას, შეფასებასა და სრულყოფის ღონისძიებებს. ამასთან, შრომის უსაფრთხოების სისტემა აგებულია შემდეგ მოდელზე:



კომპანიაში ტექნიკური უსაფრთხოების, დასაქმებულების ჯანმრთელობის დაცვის და საწარმოო ტრავმატიზმის პრევენციის მიზნით **კომპანია უზრუნველყოფს შემდეგი ღონისძიებების განხორციელებას:**

- კომპანიაში მშენებლობის პროცესის უსაფრთხოების წესების დაცვის მუდმივი კონტროლის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების დადგენა და მათი უფლებამოსილების გამიჯვნა;
- დასაქმებულის აღჭურვა მის მიერ შესასრულებელი სამუშაოს შესაბამისი ინდივიდუალური უსაფრთხოების საშუალებებით, ინვენტარითა და სპეცტანსაცმლით;
- ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (სპეცტანსაცმელი, აღჭურვილობა) მოხმარების წესების დადგენა და დასაქმებულებისთვის გაცნობა;
- დასაქმებულის ინსტრუქტაჟი, სამუშაოზე მიღებისთანავე და შემდგომ დადგენილი პერიოდულობით გადამზადება, ტექნიკური უსაფრთხოების საკითხებზე;
- ინციდენტის ან/და ავარიის შემთხვევებში მოქმედების წესებისა და გეგმის შემუშავება და დასაქმებულებისთვის გაცნობა;
- ოფისში დასაქმებულების ევაკუაციის გეგმისა და სამოქმედო ნორმების შემუშავება და დასაქმებულებისთვის გაცნობა;
- დასაქმებულის წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმება;
- პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის უზრუნველყოფა;
- საწარმოო ტრავმატიზმის აღრიცხვა და ანალიზი, პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და მათ შესრულებაზე ზედამხედველობა.
- კომპანიაში სამშენებლო პროცესის უსაფრთხოების წესების დაცვის მუდმივი კონტროლის განხორციელება;
- სამუშაოს პროცეში მომხდარი ყველა ინციდენტის შესახებ ანგარიშგების პროცედურის დანერგვა და განხორციელება;
- მუშაობის პროცესში მომხდარი ყველა ინციდენტის გამოძიება, განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტლებების მიღება;
- ტექნიკური უსაფრთხოების გამაფრთხილებელი ნიშნების, წარწერების და პლაკატების განთავსება;
- სასწრაფო/საავარიო ტელეფონის ნომრების სიის მუდმივად განახლებულ მდგომარეობაში ქონა და დასაქმებულებისათვის მიწოდება.

შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენცია

კომპანიაში პერსონალის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დანერგვას და განხორციელებას უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების მენეჯერი. მისი ამოცანაა შეიმუშაოს, შეათანხმოს, დაამტკიცოს, აამოქმედოს, პერიოდულად გადასინჯოს, განაახლოს ტექნიკური უსაფრთხოების ინსტრუქციები; დააწესოს და განახორციელოს კონტროლი ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნების, ნორმების, პროცედურებისა და წესების დაცვაზე, გამოავლინოს უსაფრთხო მუშაობაზე უარყოფითი ზეგავლენის მომხდენი გარემოებები და დარღვევები, განსაზღვროს და განახორციელოს მათი აღმოფხვრის გეგმები;

რისკების შეფასება და მართვა

კომპანია აცნობიერებს თავის პასუხისმგებლობას, რომ სამუშაო ადგილებზე მუდმივ რეჟიმში წარმოიქმნება საფრთხეები და მათი საკონტროლო ღონისძიებები მენეჯმენტის მთავარი გამოწვევაა.

რისკის მართვის ძირითადი ეტაპები:

1. **რისკების შეფასება:**

1.1. საფრთხის იდენტიფიცირება;
1.2. რისკების შეფასება;
1.3. რისკის დონის განსაზღვრა;
1.4. მონაცემების დოკუმენტირება;
1.5. გადახედვა.

2. **რისკების კონტროლი:**

1.1. საფრთხის აღმოფხვრა;
1.2. საფრთხის შემცირება;
1.3. საფრთხესთან ადამიანების კონტაქტის პრევენცია;

1.4. შრომის უსაფრთხო სისტემა;
1.5. ინდივიდუალური დაცვის საშუალებები;

კომპანიაში რისკების შეფასება და მართვა ხორციელდება აღიარებულ პრინციპებზე დაყრდნობით შემუშავებული, კომპანიის მენეჯმენტის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიით;

პერსონალის სწავლება

კომპანიის თანამშრომლები, მათ შორის მენეჯერები, ვალდებული არიან გაიარონ შესავალი ინსტრუქტაჟი შრომის უსაფრთხოებაზე ცოდნის შემდგომი შემოწმებით;

ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დაწყებამდე აუცილებლად უნდა გაეცნოს უსაფრთხოების ტექნიკის წესებს.

გარკვეული თანამდებობობის დასაკავებლად აუცილებელია თანამშრომლებს გააჩნდეთ სახელმწიფო ან სასწავლო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტები, რომელიც ადასტურებს პირის კვალიფიკაციას. მაგ: სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობა; ელექტრიკოსის კვალიფიკაციის მოწმობა და ა.შ;

მონიტორინგი და ანგარიშგება

შრომის უსაფრთხოების მენეჯერი უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე კონტროლს ახორციელებს, როგორც დადგენილი პერიოდულობით, ისე შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, გონივრული ეჭვის საფუძველზე, ინციდენტის დროს, ასევე უსაფრთხოების დისციპლინის დარღვევის გამოვლენის შემთხვევის შემდეგ დასაქმებულის პერიოდული გადამოწმების მიზნით.

გამოვლენილი საფრთხეებისა და რისკების პროფილაქტიკური ღონისძიებების ჯეროვანი განხორციელების შესაბამისობის დადგენის მიზნით, კომპანიაში წარმოებს პერიოდული მონიტორინგი. შრომის უსაფრთხოების მენეჯერი ვალდებულია ჩაატაროს შიდა ინსპექტირებები და შეამოწმოს, რამდენად სწორად მიმდინარეობს რისკების კონტროლის პროცესი, ასევე აღნიშნული მონიტორინგი ხელს უწყობს ახალი საფრთხეების იდენტიფიცირებას, რაზეც წარმოებს შესაბამისი ანგარიშგება მმართველ რგოლთან. მონიტორინგის შედეგები ჩაინიშნება, დამუშავდება და განიხილება მენეჯმენტთან ერთად, შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა/განხორციელების მიზნით.

13 ინტერესთა კონფლიქტი და საჩივრები

არსებობს ნათესაური კავშირი „კომპანიის“ 5%-ზე მეტი წილის მფლობელ საბოლოო ბენეფიციარებს შორის, კერძოდ ლაშა პაპაშვილი და სულხან პაპაშვილი წარმოადგენენ ძმებს.

არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ან/და 5%-ზე მეტი წილის მფლობელ პარტნიორებს ან/და აღმასრულებელი მენეჯმენტის წევრთა პირად ინტერესებს ან/და სხვა მოვალეობებს შორის. ასევე, არ არსებობს ნათესაური კავშირები კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ან/და აღმასრულებელი მენეჯმენტის წევრებს შორის.

არ არსებობს რაიმე შეთანხმება მმართველ ორგანოს, პარტნიორებს, მომხმარებლებსა და მომწოდებლებს შორის, რომლის შედეგადაც მოხდა ნებისმიერი პირის დირექტორთა საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოს ან უმაღლესი რგოლის მენეჯმენტის წევრად არჩევა.

საჩივრის შესახებ განცხადება

ამ მმართველობითი ანგარიშის თარიღისათვის, კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს არცერთი წევრი, 5%-ზე მეტი წილის მფლობელი არცერთი ფიზიკური პირი და აღმასრულებელი მენეჯმენტის არცერთი წევრი - არანაკლებ ხუთი წლის განმავლობაში:

- არ არის ნასამართლევი თაღლითობის, ეკონომიკური დანაშაულის ან ფულის გათეთრების ფაქტებთან დაკავშირებით;
- არ ჰქონია აღმასრულებელი ფუნქცია, მმართველი ან საზედამხედველო ორგანოების წევრის სახით ნებისმიერ კომპანიაში გაკოტრების ან ლიკვიდაციის დროს (ნებაყოფლობითი ლიკვიდაციის გარდა) ან
- არ ექვემდებარება რაიმე ოფიციალურ ინკრიმინაციას ან/და სანქციას ნებისმიერი სახელმწიფო ან მარეგულირებელი ორგანოს მიერ (ნებისმიერი პროფესიული ორგანოს ჩათვლით) და სასამართლოს მიერ არასდროს მომხდარა მისი დისკვალიფიკაცია რომელიმე კომპანიის მმართველი ან საზედამხედველო ორგანოს წევრის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

ბოლო 5 წლის განმავლობაში, არ გამოვლენილა თაღლითობის, ეკონომიკური დანაშაულის ან ფულის გათეთრების ფაქტების შესახებ ინფორმაცია.

დანართი 1. განაცხადი კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშის წარდგენის შესახებ

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

განაცხადი
კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშის წარდგენის შესახებ

Application
on submitting Corporate Governance Compliance Report

თარიღი (დღე/თვე/წელი)/Date (DD/MM/YYYY) 1 4 / 0 8 / 2 0 2 6

1.ინფორმაცია ემიტენტის შესახებ / INFORMATION ABOUT ISSUER

ემიტენტის სახელწოდება/Issuer`s Name	შპს ჭავჭავაძის 64ბ / Chavchavadze 64b LLC
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა/Legal Form	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება / Limited Liability
იურიდიული მისამართი/Legal Address	ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 71 / Vazha-Pshavela Ave. 71,
ფაქტობრივი მისამართი/Factual Address	ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 71 / Vazha-Pshavela Ave. 71,
ტელეფონის ნომერი/Contact Number	(+99532) 2201122
ელ.ფოსტა/E-mail	info@redix.ge
ვებ-გვერდი/Web Site	www.redix.ge

2. დანართების ჩამონათვალი/LIST OF APPENDIXES

განაცხადის ფორმას თან ერთვის შემდეგი დანართები (ასლებისა და ფურცლების რაოდენობის მითითებით) /
Following annexes enclosed to the application (indicate number of copies and number of pages):

დანართი 2. კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიში

დანართი 3. დამატებით წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

3. ინფორმაცია დეკლარანტის შესახებ/INFORMATION ABOUT APPLICANT PERSON

სახელი და გვარი /Name and Surname	ანა მიქელაძე / Ana Mikeladze
დაკავებული პოზიცია/Position Held	დირექტორი / Director
ტელეფონის ნომერი/Contact Number	599876590
ელ.ფოსტა/E-mail	ana.mikeladze@redix.ge
სახელი და გვარი /Name and Surname	მარინე ახვლედიანი / Marine Akhvlediani
დაკავებული პოზიცია/Position Held	სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე / Chairman of the Supervisory Board
ტელეფონის ნომერი/Contact Number	577685878
ელ.ფოსტა/E-mail	akhvlediani_m@yahoo.com

ხელმოწერა /Signature

ა. მიქელაძე

ქ. ახვლედიანი

ანა მიქელაძე

მარინე ახვლედიანი

თარიღი/DATE (DD/MM/YYYY) 1 4 / 0 8 / 2 0 2 6

დანართი 2. კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიში

საკანონმდებლო მოთხოვნა	საკანონმდებლო მოთხოვნის აღწერა	მოთხოვნის შესრულება კი, არა, ალტერნატივა	მითითება წლიური ანგარიშში გამოყენებულ შესაბამის ინფორმაციაზე (ქვეთავი/გვ.)	შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელშიც დამატებით განსაზღვრულია კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნები	შენიშვნა
1	2	3	4	5	6
კორპორაციული მართვის კოდექსი, თავი II - მმართველი ორგანო					
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 1)	საწარმოს კორპორაციული მართვის ამ კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭო. დირექტორთა საბჭო ვალდებულია უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული კორპორაციული მართვის სხვადასხვა პოლიტიკის ეფექტიანი შესრულება.	კი	N/A		
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "ა" ქვეპუნქტი);	ა)საწარმოს უნდა გააჩნდეს საწარმოს წესდება, რომელიც განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათ მიერ საკუთარი უფლებამოსილებების შესრულება და ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესი;	კი	მმართველობითი ანგარიშგება გვ. 12-	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ)საწარმოს უნდა გააჩნდეს ეთიკის კოდექსი, რომელიც დანერგავს თანამშრომლების და მმართველი ორგანოს წევრების ეთიკური ქცევის მაღალ სტანდარტებს.	კი	N/A	ეთიკის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3 პუნქტი 2, "გ" ქვეპუნქტი)	გ)საწარმოს უნდა გააჩნდეს სტრატეგია და სათანადო რესურსები, რათა მიღწეულ იქნეს დასახული მიზნები, მათ შორის მდგრადი განვითარების მიზნები;		N/A		
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3 პუნქტი 2, "დ" ქვეპუნქტი)	დ)საწარმოს უნდა გააჩნდეს მდგრადი განვითარების მიზნები, მათ შორის გარემოსდაცვითი და სოციალური მმართველობის საკითხები, რომლებიც მინიმუმ უნდა მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:	კი	N/A	ეთიკის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3 პუნქტი 2, "დ.ა" ქვეპუნქტი)	დ.ა) ადამიანური რესურსების პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ეფუძნება როგორც ქართულ კანონმდებლობას, ასევე საერთაშორისოდ აღიარებულ შრომით სტანდარტებს და ადამიანის უფლებების დაცვას;	კი	N/A	კომპანიის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა, კომპანიის შრომის უსაფრთხოების გეგმა	კომპანიის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა, კომპანიის შრომის უსაფრთხოების გეგმა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3 პუნქტი 2, "დ.ბ" ქვეპუნქტი)	დ.ბ) თანამშრომლებისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა;	კი	N/A		კომპანიის საკუთრებაში არსებული ბიზნეს ცენტრი მიეკუთვნება A კატეგორიას, რომელიც გარემოს დაცვის მაღალი სტანდარტით გამოირჩევა.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3 პუნქტი 2, "დ.გ" ქვეპუნქტი)	დ.გ) გარემოს დაცვა გარემოსდაცვითი რეგულაციებისა და საერთაშორისო სტანდარტების და სახელმძღვანელოების შესაბამისად;	კი	N/A		
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "ე" ქვეპუნქტი)	ე)საწარმოს უნდა გააჩნდეს სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი კომიტეტთა დებულებები, რომელშიც გაწერილი იქნება კომიტეტის მანდატი, საქმიანობის მიმართულებები და პროცედურები, მათ შორის კომიტეტის სამეთვალყურეო საბჭოსთან ანგარიშგების, კომიტეტის წევრობასთან დაკავშირებული შეზღუდვების, კომიტეტის წევრთა როლებისა და ფუნქციების შესახებ საკითხები;	კი	N/A		
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "ვ" ქვეპუნქტი)	ვ)საწარმოს უნდა გააჩნდეს მკაფიოდ განსაზღვრული ორგანიზაციული და მმართველობის სტრუქტურა, სადაც არავინ სარგებლობს შეუზღუდავი უფლებამოსილებებით და რომელიც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების განსაზღვრის, რისკების ეფექტიანი იდენტიფიცირების, მართვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესებს, შესაბამის შიდა კონტროლის მექანიზმებს, მათ შორის ჯანსაღი ადმინისტრირებისა და სააღრიცხვო პროცედურებს, რისკების მართვის ეფექტურ საინფორმაციო სისტემებსა და კონტროლებს, ანაზღაურების პოლიტიკასა და პროცედურებს.	კი	N/A	საწარმოს წესდება	წესდების მიხედვით მმართველობის სტრუქტურა არის მკაფიოდ განსაზღვრული, ასევე კომპანიაში უზრუნველყოფილია ამ პუნქტით დადგენილი მოთხოვნები
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 3)	საწარმოს მმართველი ორგანოს ნებისმიერი წევრი უფლებამოსილია საწარმოს კორპორაციული მართვის სისტემასთან არსებულ პრობლემურ საკითხებზე მიმართოს სამეთვალყურეო საბჭოს.	კი	N/A	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 4)	საწარმოს წესდება, ეთიკის კოდექსი და კომიტეტთა დებულებები პერიოდულად უნდა განახლდეს და იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი.	ალტერნატივა	N/A		კომპანიის წესდების პოვნა შესაძლებელია საჯარო რეესტრის ონლაინ პორტალზე. ინფორმაცია ეთიკის კოდექსსა და კომიტეტთა დებულების შესახებ არის კომპანიის შიდა ინფორმაცია და არ არის გასაჯაროებული

დანართი 2. კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიში

საკანონმდებლო მოთხოვნა	საკანონმდებლო მოთხოვნის აღწერა	მოთხოვნის შესრულება კი, არა, ალტერნატივა	მითითება წლიური ანგარიშში გამჟღავნებულ შესაბამის ინფორმაციაზე (ქვეთავი/გვ.)	შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელშიც დამატებით განსაზღვრულია კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნები	შენიშვნა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი5)	საწარმომ უნდა უზრუნველყოს საკუთარი კორპორაციული მართვის სისტემის ამ კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობა. მის მიერ შემუშავებულ სხვადასხვა პოლიტიკასა და პროცედურებში სრულად უნდა იყოს გათვალისწინებული ამ კოდექსის მოთხოვნები.		N/A		
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1)	თითოეულ საწარმოს უნდა გააჩნდეს ეთიკის კოდექსი, რომელიც აწესრიგებს ინტერესთა კონფლიქტის, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, კორუფციის, ინსაიდერული ვაჭრობის, ფულის გათეთრებისა და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების თავიდან აცილების საკითხებს, კერძოდ, ეთიკის კოდექსი უნდა მოიცავდეს:		N/A		
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "ა" ქვეპუნქტი)	ა) მითითებას იმის თაობაზე, რომ მმართველი ორგანოს წევრები და საწარმოს თანამშრომლები უნდა მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად და პროფესიონალურად;	კი	N/A	ეთიკის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ) მითითებას იმის თაობაზე, რომ დირექტორები უნდა მოქმედებდნენ საწარმოს და აქციონერთა/პარტნიორთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით;	კი	N/A	ეთიკის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "გ" ქვეპუნქტი)	გ) არსებული და პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის რეგულირებისა და მისი გამოვლენის პროცედურებს;	კი	N/A	ეთიკის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "დ" ქვეპუნქტი)	დ) კორუფციული პრაქტიკის აღკვეთის პროცედურებს, რომელიც მოიცავს ქრთამის, საჩუქრების თუ სხვა სახის სარგებლის შეთავაზებასა და მიღებას;	კი	N/A	ეთიკის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "ე" ქვეპუნქტი)	ე) უკანონო ან არაეთიკურ ქცევასთან დაკავშირებით ინფორმაციის გამჟღავნების პროცედურებს;	კი	N/A	ეთიკის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "ვ" ქვეპუნქტი)	ვ) საწარმოს ინფორმაციის, აქტივების მიზნობრივი გამოყენების დაცვისა და უზრუნველყოფის საკითხებს;	კი	N/A	ეთიკის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "ზ" ქვეპუნქტი)	ზ) კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის საკითხებს;	კი	N/A	ეთიკის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "თ" ქვეპუნქტი)	თ) ანონიმური მხილების ეფექტურ სისტემას, რომლის ფარგლებშიც თანამშრომლებსა და დაინტერესებულ მხარეებს შეეძლებათ უკანონო/შეუსაბამო/არაეთიკური ფაქტების კონფიდენციალურად, ყოველგვარი დისკრიმინაციული და არასათანადო მოჯადოების	კი	N/A		
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი2)	საწარმოში ეთიკის კოდექსის შემუშავებასა და მისი სათანადო აღსრულების საკითხებზე მონიტორინგი უნდა განახორციელოს სამეთვალყურეო საბჭომ.	კი	N/A	ეთიკის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი3)	საწარმოს ეთიკის კოდექსი ვრცელდება საწარმოს მმართველ ორგანოსა და საწარმოში მომუშავე პირებზე.	კი	N/A	კორპორატიული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1)	კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების შესრულებასთან ერთად, საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ინდივიდუალურად და ერთობლივად პასუხისმგებელნი არიან:	კი	N/A	კორპორატიული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "ა" ქვეპუნქტი)	ა) განსაზღვრონ საწარმოს ღირებულებები და მართონ საწარმო სამართლიანობის, კომპეტენტურობის, პროფესიონალიზმისა და ეთიკის პრინციპების სრული დაცვით;	კი	N/A	კორპორატიული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ) განსაზღვრონ საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა, მათ შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები იმგვარად, რომ უზრუნველყონ საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს მიერ საკუთარი უფლებამოსილებების შესრულება და ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესი;	კი	N/A	კორპორატიული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "გ" ქვეპუნქტი)	გ) განსაზღვრონ საწარმოს ეთიკის პრინციპები და მუდმივად აფასებდნენ დირექტორთა საბჭოსა როლს ჯანსაღი კორპორაციული და ეთიკური კულტურის დამყარებასა და შენარჩუნებაში, რაც სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს არსებულ კანონმდებლობასთან, მათ შორის, ამ კოდექსთან, ასევე, საწარმოს ეთიკის კოდექსთან და საწარმოს შიდა სტანდარტებთან მუდმივ შესაბამისობას;	კი	N/A	კორპორატიული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "დ" ქვეპუნქტი)	დ) დაამტკიცონ საწარმოს ყოველწლიური ბიუჯეტი, განსაზღვრონ საწარმოს სტრატეგია და მონიტორინგი გაუწიონ დირექტორთა საბჭოს მიერ სტრატეგიული მიზნების შესრულებას;	კი	N/A	კორპორატიული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "ე" ქვეპუნქტი)	ე) დირექტორთა საბჭოსთან ერთად განსაზღვრონ და დაამტკიცონ საწარმოს რისკების მართვის ჩარჩო, რომლის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს კონკურენტული გარემო, შესაძლო სამომავლო რეგულაციები, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხები, საწარმოს გრძელვადიანი ინტერესები, რისკების ეფექტური მართვის, მონიტორინგისა და შიდა კონტროლის ფუნქციები;	კი	N/A	კორპორატიული მართვის კოდექსი	

დანართი 2. კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიში

საკანონმდებლო მოთხოვნა	საკანონმდებლო მოთხოვნის აღწერა	მოთხოვნის შესრულება კი, არა, ალტერნატივა	მითითება წლიური ანგარიშში გამჟღავნებულ შესაბამის ინფორმაციაზე (ქვეთავი/გვ.)	შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელშიც დამატებით განსაზღვრულია კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნები	შენიშვნა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "ვ" ქვეპუნქტი);	ვ) მონიტორინგი გაუწიონ დირექტორთა საბჭოს საქმიანობას და შეაფასონ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები; უზრუნველყონ, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები დირექტორთა საბჭოსგან იღებდნენ საკმარის ინფორმაციას, მათ შორის განმარტებებსა და რწმუნებას იმის თაობაზე, რომ დირექტორთა საბჭოს საქმიანობა სრულად შეესაბამება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ სტრატეგიასა და რისკების მართვის ჩარჩოს;	კი	N/A	კორპორატიული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "ზ" ქვეპუნქტი)	ზ) მონიტორინგი გაუწიონ საწარმოში შრომის ანაზღაურების სისტემის გამართულ მუშაობას, რაც, მათ შორის, გულისხმობს დირექტორთა ანაზღაურების საკითხების განხილვასა და მონიტორინგს, საწარმოს რისკის კულტურასა და რისკის მართვის ჩარჩოსთან შესაბამისობას;	კი	N/A	კორპორატიული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "თ" ქვეპუნქტი)	თ) უზრუნველყონ დირექტორთა საბჭოსა და სხვა მნიშნელოვანი თანამშრომლების ჩანაცვლების ეფექტური სისტემა და მონიტორინგი გაუწიონ მის განხორციელებას.	კი	N/A	კორპორატიული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 2);	სამეთვალყურეო საბჭო სულ მცირე კვარტალში ერთხელ უნდა მართავდეს სხდომებს, ხოლო აუცილებლობის შემთხვევებში, ზრდადეს სხდომების სიხშირეს.	კი	N/A	კორპორატიული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 3)	საკუთარი ფუნქციების შესრულებისას, სამეთვალყურეო საბჭო, პირველ რიგში, უნდა ითვალისწინებდეს საწარმოს, აქციონერების/პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესებს. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა უზრუნველყოს აქციონერებთან/პარტნიორებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტური კომუნიკაცია და თანამშრომლობა.	კი	N/A	კორპორატიული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 4)	სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად უნდა ხვდებოდეს დირექტორთა საბჭოსა და შიდა კონტროლის განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებს, მათ შორის, შიდა აუდიტის, რისკის მართვისა და შესაბამისობის ფუნქციების განმახორციელებელ პირებს, სხვადასხვა პოლიტიკისა და კონტროლების განსახილველად, მნიშვნელოვანი რისკების, იმ საკითხებისა და სფეროების იდენტიფიცირების მიზნით, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებენ. დირექტორთა საბჭოსთან კომუნიკაციის ფარგლებში, სამეთვალყურეო საბჭო კრიტიკულად უნდა აფასებდეს დირექტორთა საბჭოს მიერ წარმოდგენილ განმარტებებს და შესაბამის ინფორმაციას. ამასთან, საწარმოს ორგანიზაციული მოწყობის გათვალისწინებით, კორპორაციული მდივანი უნდა ითავსებდეს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმების წარმოებას. როგორც სამეთვალყურეო საბჭოს, ასევე სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი კომიტეტების სხდომის ოქმები, მიღებულ გადაწყვეტილებებთან ერთად, უნდა ასახავდეს იმას, თუ როგორ მოხდა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, მათ შორის, საბჭოს/კომიტეტის წევრების იმ მნიშვნელოვან პოზიციებს, რომლებმაც განაპირობა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება და ასევე საბჭოს იმ წევრების პოზიციებს, რომლებმაც მხარი არ დაუჭირეს მიღებულ გადაწყვეტილებას.	არა	N/A	კორპორატიული მართვის კოდექსი	პოლიტიკა შემუშავებულია, შესაბამისი კადრები შერჩევის პროცესშია
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 5)	სამეთვალყურეო საბჭომ წლიურ ანგარიშში უნდა აღწეროს ფინანსური წლის განმავლობაში მისი საქმიანობა, რომელიც, მათ შორის, მოიცავს ამ კოდექსის შესრულებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, ასევე, მდგრადი განვითარების, გარემოსდაცვითი, სოციალურ და მმართველობის საკითხებს.	კი	N/A	კორპორატიული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 6, პუნქტი 1)	სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა კომპეტენცია და უნარები ერთობლივად უნდა უზრუნველყოფდეს საწარმოს საქმიანობის სათანადოდ წარმართვისა და რისკების მართვის ეფექტური ექსპერტიზის შესაძლებლობას. სამეთვალყურეო საბჭოს ერთ მესამედს, მაგრამ არანაკლებ ორი წევრისა უნდა ჰქონდეს ფინანსური ანგარიშგების ანალიზის უნარი და შესაბამისი გამოცდილება ფინანსურ, ეკონომიკურ, აუდიტორულ ან/და სხვა დაკავშირებულ სფეროებში. ამასთან, თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ვერ ასრულებს დაკისრებულ ფუნქციებს ან აღარ შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს, სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები, მათ შორის, მოითხოვოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის შეცვლა, მაგრამ, ერთდროულად, არაუმეტეს საბჭოს წევრთა ერთი მესამედისა და საქართველოს ეროვნულ ბანკს მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია.	კი	N/A	კორპორატიული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 6, პუნქტი 2)	საქმიანობის მასშტაბისა და კომპლექსურობის მიუხედავად, საწარმოს სამეთვალყურეო საბჭო უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისგან.	კი	N/A	კომპანიის წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 6, პუნქტი 3)	საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე იმავდროულად არ შეიძლება იყოს ამ საზოგადოების დირექტორი.	კი	N/A	კორპორატიული მართვის კოდექსი	

დანართი 2. კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიში

საკანონმდებლო მოთხოვნა	საკანონმდებლო მოთხოვნის აღწერა	მოთხოვნის შესრულება კი, არა, ალტერნატივა	მითითება წლიური ანგარიშში გამჟღავნებულ შესაბამის ინფორმაციაზე (ქვეთავი/გვ.)	შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელშიც დამატებით განსაზღვრულია კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნები	შენიშვნა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 6, პუნქტი 4)	სამეთვალყურეო საბჭოს ერთი მესამედი, მაგრამ არანაკლებ ორი წევრისა უნდა წარმოადგენდეს კორპორაციული მართვის კოდექსის მე-16 მუხლით განსაზღვრულ დამოუკიდებელ წევრს.	კი	N/A	კორპორატიული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 6, პუნქტი 5)	საწარმოს საერთო კრებამ უნდა უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს იმგვარად დაკომპლექტება, რომ დაცული იყოს მოსაზრებათა მრავალფეროვნების ბალანსი. აღნიშნული გულისხმობს საბჭოს განსხვავებული სქესის, უნარ-ჩვევების, კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე პირებით დაკომპლექტებას, რომლებსაც გააჩნიათ თავიანთი ფუნქციების შესრულებისთვის აუცილებელი დრო, რესურსი, სათანადო კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება, შესაბამისი კომპეტენცია და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება.	კი	N/A	კორპორატიული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 6, პუნქტი 6)	საწარმოში უნდა არსებობდეს სამეთვალყურეო საბჭოს შერჩევის კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესაბამისი პოლიტიკა და პროცედურები.	კი	N/A	კორპორატიული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 7, პუნქტი 1)	სამეთვალყურეო საბჭო საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევს თავჯდომარეს, რომელიც პასუხისმგებელია საბჭოს ეფექტიან ფუნქციონირებაზე, მათ შორის, საბჭოს წევრებს შორის ნდობისა და კოლეგიალური ურთიერთობის კოორდინაციასა და ეფექტიან თანამშრომლობაზე.	კი	N/A	კორპორატიული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 7, პუნქტი 2)	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე უნდა იყოს საბჭოს კორპორაციული მართვის კოდექსის კოდექსის მე-16 მუხლით გათვალისწინებული დამოუკიდებელი წევრი.	კი	N/A	კორპორატიული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 7, პუნქტი 3)	თუ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გადაწყვეტილების მიღების პროცესში აღმოაჩენს, რომ აქვს ან/და შესაძლოა, ჰქონდეს კანონმდებლობით დადგენილი ინტერესთა კონფლიქტი, მისი მოადგილე პასუხისმგებელია არსებული და პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის არიდებასა და გამორიცხვაზე.	კი	N/A	კორპორატიული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 8, პუნქტი 1)	სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები თავისი ფუნქციების შესრულებისას ხელმძღვანელობენ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული კომიტეტების დებულების შესაბამისად.	კი	N/A	კორპორატიული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 8, პუნქტი 2); "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონი (მუხლი 9(1))	ყველა საწარმო, მიუხედავად მისი ზომითი კატეგორიის კომპლექსურობისა და საქმიანობის მასშტაბებისა, ვალდებულია, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისაგან შექმნას აუდიტის კომიტეტი.	კი	N/A	კომპანიის წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 8, პუნქტი 3 და პუნქტი 4)	ეფექტიანობის გაზრდისათვის სასურველია სამეთვალყურეო საბჭოსთან სხვა ფუნქციის მქონე კომიტეტების შექმნაც, მათ შორის რისკების მართვის, ანაზღაურების, ნომინაციისა და კორპორაციული მართვის კომიტეტები და სხვა. ამასთან, გარკვეულ ინდუსტრიაში მოღვაწე საწარმოებისთვის, შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს სპეციფიკური მიზნობრიობის მქონე ცალკე კომიტეტების შექმნა, როგორიცაა ინფორმაციული ტექნოლოგიების, უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების კომიტეტები. რისკების მართვის, ანაზღაურების, ნომინაციისა და კორპორაციული მართვის კომიტეტების არარსებობის შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭომ ან არსებულმა კომიტეტებმა უნდა უზრუნველყონ ამ კომიტეტების შესაბამისი ფუნქციების შესრულება.	არა	N/A	კორპორატიული მართვის კოდექსი	კომპანიას ყავს აუდიტის კომიტეტი. სხვა კომიტეტების შექმენა იმპერატიული მოთხოვნა არ არის.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 8, პუნქტი 5)	სამეთვალყურეო საბჭო გონივრული პერიოდულობით უნდა ცვლიდეს კომიტეტის თავმჯდომარესა და წევრთა შემადგენლობას, რათა უზრუნველყოფილ იქნას კომიტეტის საქმიანობაში ახალი ხედვებისა და მიმართულებების წახალისება.	კი	N/A	კორპორატიული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 8, პუნქტი 6)	კომიტეტების მიერ მიღებულ რეკომენდაციებსა და განხილვების შედეგებზე უნდა იწარმოებოდეს შესაბამისი ჩანაწერები, შესაძლებლობის შემთხვევაში კორპორაციული მდივნის მიერ. კომიტეტები გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშს რეგულარულად უნდა წარადგენდნენ სამეთვალყურეო საბჭოსთან.	კი	N/A	კორპორატიული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 8, პუნქტი 7)	კომიტეტი მინიმუმ 3 წევრისგან უნდა იყოს დაკომპლექტებული, გარდა მცირე ზომის საწარმოსი, რომლის კომიტეტებიც შეიძლება შედგებოდეს 2 წევრისგან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ერთდროულად არ უნდა იყოს ორზე მეტი კომიტეტის წევრი.	კი	N/A	კომპანიის წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 8, პუნქტი 8)	კომიტეტების შეხვედრები წინ უნდა უძღოდეს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს. სხვა შემთხვევაში ისინი უნდა იკრიბებოდნენ წელიწადში მინიმუმ ორჯერ, ასევე, ნებისმიერ დროს აუცილებლობის შემთხვევაში.	კი	N/A	კომპანიის წესდება	

დანართი 2. კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიში

საკანონმდებლო მოთხოვნა	საკანონმდებლო მოთხოვნის აღწერა	მოთხოვნის შესრულება კი, არა, ალტერნატივა	მითითება წლიური ანგარიშში გამჟღავნებულ შესაბამის ინფორმაციაზე (ქვეთავი/გვ.)	შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელშიც დამატებით განსაზღვრულია კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნები	შენიშვნა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 8, პუნქტი 9)	სამეთვალყურეო საბჭო კომიტეტებში წევრებს საჭირო სპეციალიზებული უნარებისა და გამოცდილების გათვალისწინებით უნდა ნიშნავდეს. კომიტეტებში წახალისებული უნდა იყოს ობიექტურობა და არსებობდეს ჯანსაღი დისკუსიისთვის საჭირო გარემო.	კი	N/A	კორპორატიული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 1)	აუდიტის კომიტეტი იკრიბება წელიწადში ოთხჯერ და წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშგებას წლიური და ნახევარწლიური ანგარიშგების დამტკიცების პერიოდის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში მას შეუძლია მოითხოვოს დირექტორთა, შიდა და გარე აუდიტორების და სხვა დაქირავებულ პირების შეხვედრაზე დასწრება.	კი	N/A	კორპორატიული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2)	სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი აუდიტის კომიტეტი სხვა ფუნქციებთან ერთად პასუხისმგებელია:	კი	N/A	კომპანიის წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "ა" ქვეპუნქტი)	ა) განსაზღვროს შიდა აუდიტისა და ფინანსური ანგარიშგების პოლიტიკა;	არა	N/A	კომპანიის წესდება	პოლიტიკა შემუშავებულია, შესაბამისი კადრები შერჩევის პროცესშია
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ) მონიტორინგი გაუწიოს ფინანსური და არაფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესებს;	კი	N/A	კომპანიის წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "გ" ქვეპუნქტი)	გ) მონიტორინგი გაუწიოს და აქტიურად ითანამშრომლოს საწარმოს შიდა და გარე აუდიტორებთან;	კი	N/A	კომპანიის წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "დ" ქვეპუნქტი)	დ) შეაფასოს გარე აუდიტორის ეფექტიანობა, გამოთქვას მოსაზრება გარე აუდიტორთა კანდიდატურებთან დაკავშირებით, წარუდგინოს შესაბამისი რეკომენდაციები	კი	N/A	კომპანიის წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2 "ე" ქვეპუნქტი)	ე) შეაფასოს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობა და დამოუკიდებლობა;	არა	N/A	კომპანიის წესდება	პოლიტიკა შემუშავებულია, შესაბამისი კადრები შერჩევის პროცესშია
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "ვ" ქვეპუნქტი)	ვ) უზრუნველყოს შიდა და გარე აუდიტორების ფუნქციების ადეკვატურობა, დამოუკიდებლობა და ეფექტური ურთიერთთანამშრომლობა;	კი	N/A	კომპანიის წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "ზ" ქვეპუნქტი)	ზ) განიხილოს გარე აუდიტორის მიერ მომზადებული სარეკომენდაციო წერილი და მონიტორინგი გაუწიოს დირექტორთა საბჭოს მიერ არსებული ნაკლოვანებების	კი	N/A	კომპანიის წესდება	პოლიტიკა შემუშავებულია, შესაბამისი კადრები შერჩევის პროცესშია
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "თ" ქვეპუნქტი)	თ) განიხილოს და სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს ჩახატარებელი შიდა აუდიტის ფარგლები და ჩატარების სიხშირე;	არა	N/A	კომპანიის წესდება	პოლიტიკა შემუშავებულია, შესაბამისი კადრები შერჩევის პროცესშია
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "ი" ქვეპუნქტი)	ი) მიიღოს შიდა აუდიტის ანგარიშგებები და უზრუნველყოს საწარმოს დირექტორატის მხრიდან სათანადო ღონისძიებების დროულად გატარება აუდიტის პროცესში ან კონტროლის სხვა ფუნქციების მიერ იდენტიფიცირებული კონტროლის სისუსტეების,	არა	N/A	კომპანიის წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "კ" ქვეპუნქტი)	კ) მონიტორინგი გაუწიოს საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკისა და პრაქტიკის ჩამოყალიბებას;	კი	N/A	კომპანიის წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "ლ" ქვეპუნქტი)	ლ) განიხილოს საწარმოს რისკების მართვის მთლიანი ჩარჩო და შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობა და სტრუქტურა, მათ შორის, განიხილოს მესამე პირთა	კი	N/A	კომპანიის წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 3); "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონი (მუხლი 9(1), პუნქტი 1)	კომიტეტის თავმჯდომარე უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი, მაგრამ, იმავდროულად, არ უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან/და სხვა კომიტეტის თავმჯდომარე.	კი	N/A	კორპორატიული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 4);	აუდიტის კომიტეტის წევრებს, მათ შორის კომიტეტის თავმჯდომარეს უნდა ჰქონდეთ ფინანსური ანგარიშგების ანალიზის უნარი და ჰქონდეთ ფინანსური განათლება ან შესაბამისი ფინანსური გამოცდილება.	კი	N/A	კორპორატიული მართვის კოდექსი	

დანართი 2. კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიში

საკანონმდებლო მოთხოვნა	საკანონმდებლო მოთხოვნის აღწერა	მოთხოვნის შესრულება კი, არა, ალტერნატივა	მითითება წლიური ანგარიშში გამოყენებულ შესაბამის ინფორმაციაზე (ქვეთავი/გვ.)	შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელშიც დამატებით განსაზღვრულია კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნები	შენიშვნა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 5);	აუდიტის კომიტეტის წევრებს მუდმივად უნდა ჰქონდეთ სრული წვდომა დირექტორთა საბჭოს, შიდა აუდიტისა და რისკების მართვის ფუნქციებთან. აუდიტის კომიტეტი ყოველწლიურად უნდა განიხილავდეს გარე აუდიტორთა დამოუკიდებლობას და კორპორაციული მართვის ანგარიშში ამჟღავნებდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:	არა	N/A	კორპორატიული მართვის კოდექსი	პოლიტიკა შემუშავებულია, შესაბამისი კადრები შერჩევის პროცესშია
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 5, "ა" ქვეპუნქტი);	ა) გარე აუდიტორებზე მთლიანი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გაცემული ანაზღაურების შესახებ;	კი	N/A	კორპორატიული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 5, "ბ" ქვეპუნქტი);	ბ) საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აუდიტორული და სხვა სახის მომსახურებებზე გაცემული ანაზღაურების ელემენტების ან შესაბამის უარყოფით მოსაზრებას საწარმოს წლიურ ანგარიშში. თუ გარე აუდიტორები, გარდა აუდიტორული მომსახურებისა, იმავდროულად უზრუნველყოფენ საწარმოსთვის სხვა სახის მომსახურების გაწევას, აუდიტის კომიტეტი უნდა განიხილავდეს ამ მომსახურებათა შინაარსსა და ფარგლებს და უზრუნველყოფდეს ობიექტურობის შენარჩუნებას და ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვას.	კი	N/A	კორპორატიული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 6);	საწარმოს მიმდინარე აუდიტის განმახორციელებელი ფირმის/აუდიტორის ყოფილი პარტნიორი ან დირექტორი არ შეიძლება იმავდროულად იყოს საწარმოს აუდიტის კომიტეტის წევრი:	კი	N/A	კორპორატიული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 6, "ა" ქვეპუნქტი);	ა) აუდიტორული ფირმის პარტნიორის ან დირექტორის პოზიციის დატოვებიდან 12 თვის განმავლობაში;	კი	N/A	კორპორატიული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 6, "ბ" ქვეპუნქტი);	ბ) თუ მას აქვს გარკვეული სახის ფინანსური ინტერესი აუდიტორულ ფირმაში მიუხედავად პოზიციის დატოვებისა.	კი	N/A	კორპორატიული მართვის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 10, პუნქტი 1);	საწარმოს საქმიანობის შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთაგან შეიქმნას რისკების კომიტეტი, რომელიც სხვა ფუნქციებთან ერთად:	არა	N/A		რისკების კომიტეტის შექმნა იმპერატიული მითხოვნა არ არის.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 10, პუნქტი 1, "ა" ქვეპუნქტი);	ა) განიხილავს რისკის სტრატეგიებს როგორც აგრეგირებული, ისე ინდივიდუალური რისკის ჭრილში და აწვდის შესაბამის რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოს;	არა	N/A		რისკების კომიტეტის შექმნა იმპერატიული მითხოვნა არ არის.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 10, პუნქტი 1, "ბ" ქვეპუნქტი);	ბ) ამზადებს და სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშგებას საწარმოში არსებული რისკის კულტურის შესახებ და განიხილავს საწარმოს რისკის პოლიტიკას, სულ მცირე, ყოველწლიურად;	არა	N/A		რისკების კომიტეტის შექმნა იმპერატიული მითხოვნა არ არის.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 10, პუნქტი 1, "გ" ქვეპუნქტი);	გ) მონიტორინგს უწევს დირექტორთა საბჭოს მხრიდან საწარმოს საქმიანობის რისკის პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფას;	არა	N/A		რისკების კომიტეტის შექმნა იმპერატიული მითხოვნა არ არის.
